სამოქმედო გეგმა 2021-2024

მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

შედეგი: *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ფიქრობს, რომ ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობაში (სრულად გათვალისწინებულია ან უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე არა); ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელსაც არ სურს მუნიციპალიტეტიდან საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა.*

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 1.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია ***შედეგი:*** *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში*				
1.1.1. ახალგაზრდული საბჭოს კონცეფციის მომზადება, რომლის მიზანი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ბიუჯეტირებაში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.	- შემუშავებულია კონცეფცია ახალგაზრდული საბჭოს შესახებ; - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები ინფორმირებული არიან ახალგაზრდული საბჭოს შესახებ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.1.2. არჩევითი და წარმომადგენლობითი ახალგაზრდული საბჭოს დაფუძნება, მხარდაჭერა და გაძლიერება.	- ახალგაზრდული საბჭო ფუნქციონირებს და ასრულებს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.1.3. ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ მათ და/ან ზოგადად მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და განვითარებას ეხება და რაც ასევე	- ახალგაზრდები რეგულარულად მონაწილეობენ საჯარო განხილვებში, შეხვედრებში და კონსულტაციებში;	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

გულისხმობს ჩართულობას მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში.	- სტრატეგიით გათვალისწინებული და ახალგაზრდებთან დაკავშირებული ყველა სხვა ღონისძიება იგეგმება ახალგაზრდების აზრის შესწავლის, კვლევის, ფოკუს ჯგუფების, გამოკითხვის, კონსულტაციის და სხვა მეთოდების საფუძველზე და ახალგაზრდები მონაწილეობენ ამ ღონისძიებების განხორციელებაში; - შემუშავებულია და პრაქტიკაში გამოიყენება სტრატეგიით გათვალისწინებული და ახალგაზრდებთან დაკავშირებული ყველა სხვა ღონისძიების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია			
1.1.4. ყოველწლიური ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება ახალგაზრდული სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ანგარიშგება-შეფასების, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით.	- ჩატარებულია სულ მცირე 3 ახალგაზრდული ფორუმი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 1.2. ახალგაზრდების მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში გაზრდილია ***შედეგი:*** *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ*				

1.2.1. მოხალისეობის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიების (მათ შორის, სიუჟეტების მომზადება მოხალისეებისა და მოხალისეობის შესახებ და მედიაში განთავსება) მეშვეობით	- ჩატარებულია სულ მცირე 5 საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500 ახალგაზრდამ; - მომზადებულია და მედიაში განთავსებულია 15 სიუჟეტი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.2.2. ახალგაზრდების ინფორმირება მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ საქართველოსა და საზღვარგარეთ (მათ შორის, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში)	- შექმნილია მოხალისეთა პორტალი, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ დახმარების გაწევასა და მიღებას, ასევე სხვადასხვა პროექტებში (საქართველოში და საზღვარგარეთ) მოხალისედ მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 1.3. ახალგაზრდების ინფორმირებულობა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ გაზრდილია ***შედეგი:*** *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებს*				
1.3.1. ინტერნეტ პლატფორმის და მისი მობილური აპლიკაციის შექმნა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების, თანამედროვე ტენდენციებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით	- შექმნილია და ფუნქციონირებს ინტერნეტ პლატფორმა და მობილური აპლიკაცია; - ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეს	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
1.3.2. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელთა მიზანი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების გაცნობა და მათ გამოყენებაში მხარდაჭერაა	- ჩატარებულია სულ მცირე 30 შეხვედრა; - მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 750 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

ამოცანა 1.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი და თავისუფალი ახალგაზრდული სივრცეები ***შედეგი:*** *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც იცის, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის; ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც რეგულარულად სარგებლობს ახალგაზრდული სივრცით (თვეში რამდენჯერმე)*				
1.4.1. ღია და ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეების შექმნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, პროგრამებში მონაწილეობას, ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას	- ჩატარებულია მოკვლევა არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ; - სულ მცირე 5 სათანადოდ აღჭურვილი ახალგაზრდული სივრცე გახსნილია და მოქმედებს: მატანში, ქვ.ალვანში, ახმეტაში, ჯოყოლოში და ქისტაურში	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
1.4.2. ახალგაზრდული სივრცეების მართვა ახალგაზრდებისა და კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების მიერ	- უზრუნველყოფილია ახალგაზრდების მონაწილეობა ახალგაზრდული სივრცეების მართვაში; - ყველა ახალგაზრდულ სივრცეში მუშაობს მინიმუმ 1 ახალგაზრდული მუშაკი; - ახალგაზრდულ სივრცეებს გამოყოფილი აქვთ ბიუჯეტი ღონისძიებების განსახორციელებლად	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.4.3. ბიბლიოთეკების მოდერნიზება, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებისათვის	- ჩატარებულია მოკვლევა არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ; - სულ მცირე 3 ობიექტი მოდერნიზებულია და ჩართულია ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებაში	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაცია

ამოცანა 1.5. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის ***შედეგი:*** *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარ ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობას ასახელებს; ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში (რეგულარულად მონაწილეობს ან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა); გ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის უმცირესობათა უფლებების დაცვას ასახელებს*				
1.5.1. სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის პროფესიული განათლების პროგრამებში, ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.5.2. სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისება	- ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინტერესები და მორგებულია მათზე	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.5.3. ერთობლივი ღონისძიებების (საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული, გასართობი, რეკრეაციული და სხვა) ორგანიზება ეთნიკურად ქართველი და ქისტი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომლებიც მათი ინტერესების წინასწარ შესწავლის საფუძველზე და მათი ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება	- ჩატარებულია სულ მცირე 15 შეხვედრა; - მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 300 ახალგაზრდამ; - ჩატარებულია სულ მცირე 3 ბანაკი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.5.4. საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისთვის	- შექმნილია დახმარების პროგრამა იმ ახალგაზრდებისთვის, ვინც დასაქმების გამო (მაგ. მისდევს	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

	მესაქონლეობას) იძულებულია, დროებით შეწყვიტოს სწავლა; - დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობები შექმნილია ყველა ახალგაზრდისთვის, ვინც ნაადრევად შეწყვიტა სწავლა			
ამოცანა 1.6. ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდების იდეების და ინიციატივების მხარდაჭერა გაზრდილია ***შედეგი:*** *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც მიმართა მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ინიციატივის / პროექტის განსახორციელებლად; ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც კმაყოფილია მუნიციპალიტეტის დახმარებით (ძალიან კმაყოფილი ან უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა)*				
1.6.1. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერის და/ან დაფინანსების მექანიზმის შექმნა	- ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოყოფილია სულ მცირე 100 000 ლარის ოდენობით (ყოველ წლიურად პროექტის განმავლობაში) დაფინანსება ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის; - განსაზღვრულია იდეებისა და ინიციატივების წარმოდგენის და გამარჯვებულებების გამოვლენის წესი და პირობები; - გადაწყვეტილებების მიღება გამარჯვებული იდეებისა და ინიციატივების შესახებ ხდება ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, პარიტეტულ საწყისებზე	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

1.6.2. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და წახალისება	- ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და განხორციელებულია ყოველწლიურად სულ მცირე 1 ღონისძიება	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

მიზანი 2. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია

შედეგი: *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ჩართულია ახალგაზრდულ საქმიანობაში*

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 2.1. ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას ***შედეგი:*** *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ისარგებლა შემდეგი სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა); მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრეები; საბანაკე პროგრამები; საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები; ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც კმაყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი და გართობა-დასვენების შესაძლებლობებით (ძალიან კმაყოფილი ან უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა)*				
2.1.1. მობილური ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება, კერძოდ, მხარდაჭერა ახალგაზრდობის სააგენტოს, კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის, ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის „უნარები დასაქმებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ 1 მობილური ახალგაზრდული მუშაკის მომზადებას და ადგილზე დასაქმებას	- მობილური ახალგაზრდული მუშაკები იღებენ სათანადო მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის მერიისგან მათ საქმიანობაში და სერვისების შექმნა-განვითარებაში, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე გულისხმობს სივრცის	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

2 წლის ვადით და სერვისების შექმნას ახალგაზრდებისთვის.	გამოყოფას ღონისძიებების განსახორციელებლად			
2.1.2. სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება, კერძოდ, მოსწავლეებისთვის კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შექმნა სხვადასხვა სასკოლო აქტივობისა თუ ღონისძიების საშუალებით (პროექტზე დაფუძნებული სწავლება, თანატოლთა განათლება და სხვა).	- თანამშრომლობა დაწყებულია სულ მცირე 5 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან; - ჩართულია სულ მცირე 1000 მოსწავლე	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.1.3. ახალგაზრდების ჩართვა კულტურულ-შემოქმედებითი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის, პროგრამებში.	- ყოველწლიურად მხარდაჭერილია სულ მცირე 10 პროგრამის განხორციელება; - პროგრამებში მონაწილეობა მიღებული აქვს სულ მცირე 500 ახალგაზრდას; - პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით.	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.1.4. ახალგაზრდების ჩართვა გართობა-დასვენების პროგრამებში.	- ყოველწლიურად მხარდაჭერილია სულ მცირე 3 პროგრამის განხორციელება; - პროგრამებში მონაწილეობა მიღებული აქვს სულ მცირე 300 ახალგაზრდას; - პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით.	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

2.1.5. ახალგაზრდებზე მორგებული და მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის პროგამრების მხარდაჭერა, მათი რაოდენობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა.	- რეგულარულად ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და შექმნილია მათთან თანამშრომლობის მექანიზმი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
ამოცანა 2.2. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი გაძლიერებული და განვითარებულია ***შედეგი:*** *სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა*				
2.2 1. ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება და სერტიფიცირება	- გადამზადებული და/ან სერტიფიცირებულია სულ მცირე 4 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელი; - გადამზადებული და/ან სერტიფიცირებულია სულ მცირე 20 ახალგაზრდული მუშაკი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.2.2. მხარდაჭერა საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ქვემო ალვანის ფილიალში ახალგაზრდობის სააგენტოს და საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის „ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიული გადამზადების“ კურსის განხორციელების	- ახალგაზრდული მუშაკები იღებენ სათანადო მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის მერიისგან მათ საქმიანობაში, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე გულისხმობს სივრცის გამოყოფას ღონისძიებების განსახორციელებლად	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.2.3. სამუშაო შეხვედრების ჩატარება ახალგაზრდული მუშაკების და მუნიციპალური სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, ახალგაზრდული ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვის,	- ყოველწლიურად ჩატარებულია სულ მცირე 2 სამუშაო შეხვედრა	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

გამოცდილების გაზიარებისა და მათი მიმდინარეობის კოორდინაციის მიზნით.				

მიზანი 3. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები

შედეგი: *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარ ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის დასაქმებას ასახელებს; ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც არ არის დასაქმებული, მაგრამ ეძებს სამუშაოს*

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 3.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები ***შედეგი:*** *ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ახალგაზრდისთვის დასაქმება მუნიციპალიტეტში რთულია (ძალიან რთულია ან უფრო რთულია, ვიდრე მარტივი); ბ) ხანგრძლივი დროით (1 წელი და მეტი) უმუშევრების პროცენტული წილი იმ ახალგაზრდებში, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს*				
3.1.1. მოთხოვნადი პროფესიების შესახებ კვლევის ჩატარება და ახალგაზრდების შემდგომი კონსულტირება	- ჩატარებულია კვლევა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ; - მიზნობრივი კონსულტაცია მიიღო სულ მცირე 150 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.1.2. პროფესიული მომზადების / გადამზადების და სასწავლო კურსების მხარდაჭერა და დაფინანსება ახალგაზრდებისთვის	- პროფესიული მომზადების / გადამზადების და სასწავლო კურსები გაიარა სულ მცირე 150 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება
3.1.3. კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა და ამ მიზნით პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციას და მიაწვდის ახალგაზრდებს ინფორმაციას კერძო	- ყოველწლიურად ორგანიზებულია სულ მცირე 1 შეხვედრა კერძო სექტორთან მუნიციპალური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / კერძო სექტორი	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება

სექტორში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ	ახალგაზრდული პოლიტიკის გაცნობის მიზნით; - შემუშავებულია წინადადებები, რომ მოხდეს ახალგაზრდების სტაჟირება, გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, დასაქმების, მათ შორის სეზონური და საზაფხულო დასაქმების, შესაძლებლობების შექმნა კერძო სექტორში			
3.1.4. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	- ახალგაზრდები პროაქტიულად იღებენ ინფორმაციას სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ და მხარდაჭერას ასეთ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია არასამთავრობო სექტორი / კერძო სექტორი	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება
ამოცანა 3.2. პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ***შედეგი:*** *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას ასახელებს*				
3.2.1. ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული განათლების პროგრამებისა და კურსების შესახებ	- ჩატარებულია სულ მცირე 3 საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 300 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.2.2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალგაზრდების სწავლის მხარდაჭერა	- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მხარდაჭერა	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

	მიიღო სულ მცირე 50 ახალგაზრდამ; - ახალგაზრდები იღებენ მხარდაჭერას ტრანსპორტის მომსახურებაში			

მიზანი 4. ახალგაზრდების აქვთ ჯანსაღი ცხოვრების მეტი შესაძლებლობები

შედეგი: *ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, დაკავებული არიან სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობებით (თითქმის ყოველდღე, კვირაში 3-4 დღე ან კვირაში 1-2 დღე)*

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 4.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის ***შედეგი:*** *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის, მარიხუანის, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია (ძალიან პრობლემურია ან უფრო პრობლემურია, ვიდრე არა)*				
4.1.1. საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება (ბუკლეტების დარიგება, სოციალური ქსელებისა და ადგილობრივი მედიის გამოყენება და სხვა) ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ	- ჩატარებულია სულ მცირე 3 საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 250 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
4.1.2. თემატური ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თანატოლ განმანათლებლების, ექიმების, ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ	- ჩატარებულია სულ მცირე 5 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 250 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2022-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
ამოცანა 4.2. ხარისხიანი სპორტული და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია				

შედეგი: *ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას შორის ვარჯიშის, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას შესაძლებლობის ნაკლებობა ასახელებს*				
4.2.1. სპორტული სექციების და წრეების მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა	- დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით; - გახსნილია და/ან განახლებულია სულ მცირე 3 სექცია და წრე, რომელშიც ჩართულია სულ მცირე 100 ახალგაზრდა	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
4.2.2. რეგულარული და მრავალჯერადი სპორტული და ფიზიკური აქტივობის ღონისძიებების ორგანიზება ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად (სამოყვარულო ლიგები, ტურნირები და სხვა), რომელთა დაგეგმვაში და განხორციელებაში ჩართული არიან ახალგაზრდები	- ღონისძიებების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; - ჩატარებულია სულ მცირე 10 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500 ახალგაზრდამ	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
4.2.3. სპორტულ ღონისძიებებში ახალგაზრდა ქალების მონაწილეობის წახალისება	- რეგულარულად ტარდება დამატებითი მოკვლევა, რომელი სპორტის სახეობაზე ან ინფრასტრუქტურაზე არის მოთხოვნა ახალგაზრდა ქალების მხრიდან და შექმნილია შესაბამისი შესაძლებლობები	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი

მიზანი 5. განხორციელება, კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
5.1. არასამთავრობო სექტორთან დიალოგისთვის ინსტიტუციონალური და მუდმივმოქმედი პლატფორმის შექმნა და მათი ჩართვა სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.	- შექმნილია სამუშაო ჯგუფი; - ყოველწლიურად ტარდება სულ მცირე 4 შეხვედრა	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
5.2. წლიური ანგარიშის მომზადება და საჯაროდ გამოქვეყნება.	- ყოველი წლის დეკემბერში მზადდება და საჯაროდ ქვეყნდება ანგარიში	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
5.3. სტრატეგიის საბოლოო შეფასების ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება.	- მომზადებულია და გამოქვეყნებულია სტრატეგიის საბოლოო შეფასების ანგარიში	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
5.4. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში.	- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების, დაგეგმვისა და შეფასებისთვის, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევითი სამუშაოები	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი